



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



ხანდაზმულთა
უფლებრივი
მდგომარეობა
საქართველოში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ხანდაგმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

თბილისი
2022

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.



გამოცემის ხელმძღვანელი: ნონა ქურდოვანიძე
ავტორი: ლელა მაჭარაშვილი
რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2022

სარჩევი

შესავალი.....	5
1. ხანდაზმულთა უფლებების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო.....	7
1.1. ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.....	7
1.2. ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული შიდასამართლებრივი აქტები...	9
1.3. საქართველოს კანონმდებლობა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა.....	13
1.3.1. ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული ფულადი გასაცემელი.....	13
1.3.2. ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული არაფულადი დახმარება.....	15
2. პროექტის განხორციელების პერიოდში საიას მიერ გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების ზოგადი მიმოხილვა.....	17
3. პროექტის განხორციელებისას საიას მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები.....	18
3.1. ხანდაზმულთათვის გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებები..	18
3.2. ხანდაზმულთა უფლებები სპეციალიზებულ დაწესებულებებში.....	19
3.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა.....	20
4. საანგარიშო პერიოდში ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით საიას მიერ წარმოებული საქმეები.....	22
4.1. სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა....	22
4.2. სოციალური პაკეტის დანიშვნა თავდაცვის ძალების იმ ვეტერანისთვის, რომელიც, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა.....	23
4.3. ხანდაზმული პირებისთვის სახელმწიფო პენსიის დაკავება.....	25
5. საიას მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.....	27
6. საიას მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი საჯარო თანამდებობებსა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებში ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.....	29
დასკვნები/რეკომენდაციები.....	32

მსოფლიოში 60 წლის და მეტი ასაკის ადამიანების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. 2019 წელს მათმა რიცხვმა 1 მილიარდს გადააჭარბა, 2030 წლისთვის ის 1,4 მილიარდამდე გაიზრდება, ხოლო 2050 წლისთვის 2,1 მილიარდს მიაღწევს.¹ ამდენად, ხანდაზმულ მოქალაქეთა რაოდენობა უპრეცედენტო ტემპით იზრდება და ეს ტემპი მომდევნო ათწლეულებში კიდევ უფრო დაჩქარდება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.² 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 65 წლისა და უფროსი ასაკის მაცხოვრებელთა წილი მთელი მოსახლეობის 15.5%-ს შეადგენს.³

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანახმად, ხანდაზმული პირები ადამიანის უფლებებით სარგებლობისას მუდმივად აწყდებიან პრობლემებს, მათ შორის, ძალადობის, უგულვებელყოფისგან პრევენციის, სოციალური დაცვის, საკვებისა და მაცხოვრებელი ადგილის, მუშაობის უფლებისა და შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, მართლმსაჯულების, განათლების, ჯანმრთელობის მხარდაჭერისა და გრძელვადიან, პალიატიურ მზრუნველობაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.⁴ იმავდროულად, დემოგრაფიული დინამიკა მზარდ გავლენას ახდენს ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ სექტორებზე) და გრძელვადიან პერიოდში შეიცავს რისკებს სახელმწიფო ფინანსებისთვის.⁵ შესაბამისად, აქტუალური ხდება ხანდაზმულთა სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება/დანერგვა. მნიშვნელოვანია, ხანდაზმულ მოსახლეობას ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს. გარდა ამისა, სოციალურ, სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, იქ, სადაც ადამიანის ღირსების პატივისცემა, მისი ხელშეუვალობა ძირითადი კონსტიტუციური პრინციპია, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, შემოიღოს ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც მოემსახურება ხანდაზმული პირების საზოგადოების სრულფასოვან, ღირსეულ წევრებად ყოფნას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - საია) 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე, „ღია საზოგადოების ფონდის“ დაფინანსებით, ახორციელებდა პროექტს „ხანდაზმულთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც 60 წლის ზემოთ ასაკის 1200-ზე მეტ პირს

¹ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: <https://www.who.int/health-topics/>, განახლებულია: 04.08.2022.

² იქვე.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>, განახლებულია: 04.08.2022.

⁴ Human Rights Council, Human rights of older person, resolution 48/3 of 7 October 2021, ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G21/287/79/PDF>, განახლებულია: 04.08.2022.

⁵ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-III დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ შესავალი.

გაეწია სამართლებრივი დახმარება. შედეგად, ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა და აქტუალური საკითხი გამოიკვეთა.

წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია ხანდაზმულთა უფლებების დაცვის როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასამართლებრივი მექანიზმები. გაანალიზებულია პროექტის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემები და, ძირითადი ტენდენციების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები.

ხანდაზმულთა უფლებების მარჯულირებადი სამართლებრივი ჩარჩო

1.1. ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ხანდაზმულთა უფლებების დაცვა ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო დისკუსიების საგანია. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოები დღემდე ვერ შეთანხმდნენ სავალდებულო საერთაშორისო აქტის მიღებაზე.⁶ თუმცა, მართებულია მოლოდინი, რომ სხვა, სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე პირების მსგავსად (მათ შორის, ქალების, ბავშვების, ეთნიკური უმცირესობების, შშმ პირების), უშუალოდ ხანდაზმულთა პრობლემების განზოგადების შედეგად, მიღებული იქნება შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო აქტი.

ხანდაზმულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 2002 წლის აპრილში მიღებული დაბერების პრობლემების შესახებ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა, რომელიც ამ საკითხის თაობაზე პირველი საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტია.⁷ მისი მიღების შემდეგ რამდენიმე თვეში ბერლინში შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), რათა შეემუშავებინა ამ გეგმის განხორციელების რეგიონული სტრატეგია (RIS), რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული არსებული ვითარება რეგიონულ ქრილში. დაბერების პრობლემების შესახებ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების რეგიონული სტრატეგია (MIPAA/RIS) განსაზღვრავს 10 ვალდებულებას, რომლებშიც, თავის მხრივ, მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები და პოლიტიკური პრინციპები. ეს ვალდებულებებია: 1. პოლიტიკის ყველა მიმართულებით მოსახლეობის დაბერების საკითხის მენისტრიმინგი; 2. საზოგადოებაში ხანდაზმულთა სრული ინტეგრაცია და ჩართულობა; 3. მოსახლეობის დაბერების საპასუხოდ ეკონომიკის თანაბარი და მდგრადი ზრდის ხელშეწყობა; 4. სოციალური დაცვის სისტემის მოწესრიგება; 5. შრომის ბაზრისთვის შესაძლებლობის მიცემა, რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის დაბერების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე; 6. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისა და განათლების სისტემის ადაპტირების ხელშეწყობა; 7. ყველა ასაკში ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფის და დამოუკიდებელი ცხოვრების (მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის) ხელშეწყობა; 8. ხანში შემავალ საზოგადოებაში ძირითადი აქცენტის გენდერულ მიდგომაზე გაკეთება; 9. ხანდაზმულებზე მზრუნველი ოჯახებისა და მათ წევრებს შორის თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობა; 10. ზემოაღნიშნული გეგმის

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 5, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021012113240828575.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

⁷ მეორე მსოფლიო ასამბლეა, „პოლიტიკური დეკლარაცია და მადრიდის სამოქმედო საერთაშორისო გეგმა“, 2002 წლის 8-12 აპრილი, 9, ხელმისაწვდომია: shorturl.at/FHTU4, განახლებულია: 04.08.2022.

განხორციელების რეგიონული სტრატეგიის დანერგვისა და თანამშრომლობის კონტექსტში მისი შემდგომი მოქმედებების ხელშეწყობა.⁸

მოსახლეობის დაბერების საკითხს ასევე შეეხება 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგი, რომელიც 2015 წელს არის მიღებული გაეროს ყველა სახელმწიფოს მიერ.⁹ ეს მიზნები აქცენტირებულია იმაზე, რომ, ვინაიდან ხანდაზმულთა წილი საზოგადოებაში იზრდება, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. შესაბამისად, მათი გააქტიურების გარეშე შეუძლებელია რეალური, ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მიღწევა.¹⁰ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 2021 წელს მიიღო მომდევნო რეზოლუცია ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია და საერთაშორისო საზოგადოების ვალდებულება, იმოქმედონ ხანდაზმულთა უფლებების დასაცავად.¹¹

ხანდაზმული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება 2017 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებული დაბერებისა და ჯანმრთელობის გლობალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ხუთ სტრატეგიულ მიზანს მოიცავს: 1. ყველა ქვეყანაში ჯანსაღი დაბერების შესახებ მოქმედების ვალდებულება; 2. ხანდაზმულებისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა; 3. ჯანდაცვის სისტემის მორგება ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებზე; 4. ხანგრძლივი მოვლის მდგრადი და თანასწორი სისტემების შემუშავება; 5. ჯანსაღი დაბერების გაზომვის, მონიტორინგისა და კვლევის გაუმჯობესება.¹²

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ხანდაზმული პირების უფლებებთან დაკავშირებულ სპეციალურ სამართლებრივ აქტს ევროპის კავშირის კანონმდებლობაც არ იცნობს. თუმცა, ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 25-ე მუხლის თანახმად, გაერთიანება პატივს სცემს ხანდაზმულთა უფლებას, იცხოვრონ ღირსეულად და დამოუკიდებლად, მონაწილეობდნენ სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი მექანიზმია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მართალია, კონვენცია ცალკე არ არეგულირებს ხანდაზმული პირების უფლებებს, თუმცა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად,

⁸ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-III დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ შესავალი.

⁹ გაერო, ჩვენი სამყაროს ტრანსფორმირება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, 2015, ხელმისაწვდომია: <https://sdgs.un.org/2030agenda>, განახლებულია: 04.08.2022.

¹⁰ United Nations Development Programme, Ageing, Older Persons and the 2030 Agenda for Sustainable Development, ხელმისაწვდომია: shorturl.at/gQTUz, განახლებულია: 04.08.2022.

¹¹ Human Rights Council, Human rights of older person, resolution 48/3 of 7 October 2021, ხელმისაწვდომია: shorturl.at/agjPQ, განახლებულია: 04.08.2022.

¹² ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, დაბერებისა და ჯანმრთელობის გლობალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.who.int/publications/i/item/9789241513500>, განახლებულია: 04.08.2022.

ხანდაზმულთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, მათზე კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები განსხვავებულად ვრცელდება და სახელმწიფოს მიმართ სპეციფიკურ ვალდებულებებს წარმოშობს.¹³

1.2. ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული შიდასამართლებრივი აქტები

საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა უშუალოდ ხანდაზმული ადამიანების უფლებების შესახებ, რომელიც მათი დაცვისა და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებს დაადგენდა. თუმცა, ამასთან დაკავშირებულ გარკვეულ დებულებებს შეიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ფრაგმენტულად არეგულირებს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება. ამ დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, 2016 წლის 1-ელ აგვისტომდე შეემუშავებინა 2016-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ხსენებული კონცეფციის განსახორციელებლად,¹⁴ რომლის კოორდინაცია, თავის მხრივ, დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მას ამ პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიში პერიოდულად საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისთვის უნდა წარედგინა.¹⁵ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის №5146-III დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 2 ნოემბერს დაამტკიცა საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.¹⁶ ამ დოკუმენტის მოქმედების ვადა 2018 წლის ბოლოს ამოიწურა და დღემდე საქართველოს ხელისუფლებას ახალი სამოქმედო გეგმა არ დაუმტკიცებია. სამოქმედო გეგმა ასევე განსაზღვრავდა მისი შესრულების

¹³ იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე McDonald v. The United Kingdom: მოსარჩელე ასაჩივრებდა დამით მოვლის საათების შემცირებას და მიიჩნევდა, რომ ირღვეოდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. მომჩივანს აღარ შეეძლო საპირფარეოშოთი უსაფრთხო და მოუკიდებლად სარგებლობა, რის გამოც, კვირაში 70 საათის განმავლობაში იყენებდა დამით შინ მოვლის სერვისს. მოგვიანებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ყოველკვირეული ზრუნვის შემცირება. სასამართლომ ეს ფაქტი განიხილა მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება) ფარგლებში და დამით მოვლის შემცირება ამ უფლების დარღვევად მიიჩნია.

¹⁴ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-III დადგენილების მე-2 მუხლი.

¹⁵ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-III დადგენილების მე-3 მუხლი.

¹⁶ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილება.

შუალედური მიმოხილვის ჩატარების პერიოდს - 2018 წელს.¹⁷ ამ მიმოხილვის შედეგები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მომდევნო 2-წლიან გეგმაში,¹⁸ რაც არ შესრულებულა. სახალხო დამცველი ბოლო რამდენიმე წელია საუბრობს, რომ არ არსებობს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტის „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ შესრულების მექანიზმი, ვინაიდან 2018 წლის შემდეგ არ გაწერილა მისი შესრულების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ქვეყანაში არ მუშაობს ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის შეფასების სქემა და არსებული კონცეფცია აღუსრულებელი დოკუმენტია.¹⁹

ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით გარკვეულ რეგულირებებს მოიცავს კანონმდებლობის სხვადასხვა დებულება. ქვეყანაში ხანდაზმულების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ამ დებულებების მიმოხილვა:

- **საქართველოს კონსტიტუცია** - საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.²⁰ იმავდროულად, ის სახელდებით მიუთითებს, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე,²¹ ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობაზე.²² გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს. ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.²³ ხანდაზმულ პირებთან მიმართებით განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა,²⁴ ისევე, როგორც თანასწორობის უფლება,²⁵ რომელიც დაუმჯებლად აცხადებს შესაბამისი დასაბუთების გარეშე პირთა დიფერენცირებას ასაკის ნიშნით. ამდენად,

¹⁷ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე სახალხო დამცველი ვრცლად საუბრობს „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2017, 311, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OleRiP>, განახლებულია: 04.08.2022.

¹⁸ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“.

¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2021, 298, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

²⁰ იხ. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, ასევე მე-3-მე-5 მუხლები.

²¹ იქვე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

²² იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

²³ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁴ იქვე, მე-9 მუხლი.

²⁵ იქვე, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

ხანდაზმულთა უფლებების დაცვის უპირველესი სამართლებრივი დოკუმენტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლითაც გარანტირებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მათზე სრული მასშტაბით ვრცელდება.

- **„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი** - მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ასევე ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.²⁶ ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, ხანდაზმული პირების ასაკის ნიშნით დისკრიმინაციისგან დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტია.
- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** - ის შეიცავს აკრძალვას, რომლის მიხედვითაც, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება პირს, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის შეუსრულდა სამოცი წელი.²⁷ გარდა ამისა, სასამართლო უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი - 65 წლიდან, მამაკაცი - 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდელი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.²⁸
- **პატიმრობის კოდექსი** - ამ კოდექსის შესაბამისად, ხანდაზმულები (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან) უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული საყოფაცხოვრებო²⁹ და შესაბამისი კვების პირობებით.³⁰ კოდექსი ასევე ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გაათავისუფლებას ხანდაზმულობის ასაკის გამო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.³¹
- **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი** - ეს კანონი ოჯახის წევრის ცნებაში მოიაზრებს, მათ შორის, ხანდაზმულ პირებს (ამ კანონის მიზნებისთვის - დედა, მამა, პაპა, ბებია). ხანდაზმული პირები, შესაძლოა, განსაკუთრებით დაუცველი იყვნენ ძალადობისგან, ფინანსური დამოკიდებულების, ასევე შემცირე-

²⁶ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²⁹ პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილი.

³⁰ პატიმრობის კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

³¹ პატიმრობის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

ბული შრომის უნარის გამო. კანონი ავალდებულებს სახელმწიფოს, თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.³²

- **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი** - ის ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე მოხუცებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებასა და აღჭურვას.³³
- **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი** - ეს კოდექსი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ხანდაზმულ პირებთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნორმები, რომლებიც არასრულწლოვანი შვილიშვილების მიმართ პაპისა და ბებულის უფლებებს განსაზღვრავს. კერძოდ, „პაპისა და ბებულის უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპისა და ბებულის შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპისა და ბებულის, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე“.³⁴ აგრეთვე, კოდექსი ადგენს სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების ვალდებულებას, არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.³⁵ გარდა ამისა, გათვალისწინებულია იმ შვილიშვილის ვალდებულება, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, არჩინოს თავისი შრომისუნარო პაპა და ბებია, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ, მიიღონ სარჩო თავისი შვილისგან ან ერთმანეთისგან.³⁶

ეს სამართლებრივი აქტები ხანდაზმულ პირებთან მიმართებით გარკვეულ სპეციფიკურ მოწესრიგებებს შეიცავს, რაც იმას უკავშირდება, რომ ასაკის მატება ზეგავლენას ახდენს ადამიანის შრომით უნარებზე³⁷ და ზოგჯერ ამ პირთა უფლებების დასაცავად აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური რეგულირებების შემოღება.

³² „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

³³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტი.

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლი.

³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1224-ე მუხლი.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებული ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ამ პირებისთვის გარკვეულ სოციალურ დახმარებებს ითვალისწინებს, შემდგომ ქვეთავშია განხილული.

1.3. საქართველოს კანონმდებლობა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

ხანდაზმული პირების სოციალური დაცვა და მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა, რომლის შესასრულებლად კანონმდებლობა გარკვეულ სოციალურ დახმარებებს ითვალისწინებს. ისინი, პირობითად, შეიძლება 2 ჯგუფად დაიყოს: ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარებები. ქვემოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკეა მიმოხილული.

1.3.1. ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული ფულადი გასაცემელი

ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული ფულადი დახმარება, თავის მხრივ, შემდეგ გასაცემელებს მოიცავს:

- **სახელმწიფო პენსია** - მასზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. ეს უფლება მამაკაცებს წარმოეშობათ 65 წლიდან, ხოლო ქალებს - 60 წლიდან.³⁸ ამასთანავე, სახელმწიფო პენსიის ოდენობა განსხვავებულია 70 წლამდე და 70 წლის და მეტი ასაკის მქონე პირებისთვის, ასევე მათალმთიან სოფლებში მცხოვრები პენსიონერებისთვის, რაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ან ინფლაციის მაჩვენებელზე.³⁹
- **სახელმწიფო კომპენსაცია** - კანონმდებლობა ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს იმ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის (65 წელი) მიღწევისას, რომლებმაც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახური გასწიეს.⁴⁰ იმავედროულად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები, მას აქვს კანონით მინიჭებული მხოლოდ ერთი სარგებლის მიღების შესაძლებლობა მისივე არჩევით.⁴¹
- **საარსებო შემწეობა სიღარიბეში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის** - საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.⁴²

³⁸ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁹ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁰ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9-მე-15³ მუხლები.

⁴¹ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴² „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობისა და სარეიტინგო ქულის მიხედვით.⁴³

- **საყოფაცხოვრებო სუბსიდია** - მისი მიღების უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ, სხვადასხვა კატეგორიის მიკუთვნებულ პირებს, რომელთა შორის, შესაძლებელია, ხანდაზმული ადამიანებიც იყვნენ. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ეძლევათ საყოფაცხოვრებო სუბსიდია ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.⁴⁴
- **სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის** - სახელმწიფო მაღალმთიან დასახლებაში აწესებს შემდეგი სახის სოციალურ შეღავათებს: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები, საპენსიო ასაკს მიღწეული პირისთვის, რომელიც იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, სახელმწიფო პენსიის ოდენობის შესაბამისად, გათვალისწინებულია ყოველთვიური დანამატი - სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ, სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით; ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები; ასევე დადგენილია აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯიის საფასურისა.⁴⁵
- **ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა** - კანონმდებლობით გათვალისწინებულია ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის, ასევე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეების სოციალური დაცვა ითვალისწინებს, მათ შორის, დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობას სამაგიეროს მიუცემლად; აგრეთვე საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების - წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტრო-

⁴³ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა, მიწოდებით აღზრდის ანაზღაურების ოდენობა, სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობა, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების წესის“ მე-6 მუხლი.

⁴⁴ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშვნა-გაცემის წესისა და პრინციპების“ მე-4 მუხლი.

⁴⁵ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

ენერჯის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისგან გათავისუფლებას, აგრეთვე ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) სარგებლობას, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁴⁶

1.3.2. ხანდაზმული პირებისთვის გათვალისწინებული არაფულადი დახმარება

ფულად გასაცემელთან ერთად, ხანდაზმული პირებისთვის განკუთვნილია გარკვეული არაფულადი დახმარებები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- **ხანდაზმულთა სპეციალიზებული საცხოვრისები (სათემო ორგანიზაციები, ხანდაზმულთა პანსიონატები)** - საქართველოს მთავრობის მიერ ცენტრალურ დონეზე შემოღებულია ხანდაზმულთა სათემო მომსახურების ქვეპროგრამა, რომელიც შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს: ა) საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსახურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი; ბ) საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე (მათ შორის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა დაავადების სკრინინგის პროგრამები) ინფორმაციის მიწოდება და, საჭიროების შემთხვევაში, მათში ჩართვის ხელშეწყობა, აბების გამანაწილებლით უზრუნველყოფა; გ) დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით ბენეფიციარებისთვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შედგენა და განხორციელება; დ) პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით ხელობის შერჩევა, სწავლება და პრაქტიკული გამოყენების, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და გამოცდილების შეძენა, დასაქმებაში ხელშეწყობა; ე) სურვილის, ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა; ვ) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება.⁴⁷ ამ ქვეპროგრამის მიზნებისთვის, ხანდაზმულთა მიიჩნევიან ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან.⁴⁸ თუმცა, შეზღუდულია ამ პროგრამის როგორც ბიუჯეტი, ისე ბენეფიციართა წრე და მისი მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, მაქსიმუმ, 180 ხანდაზმულს აქვს.⁴⁹

⁴⁶ „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

⁴⁷ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა: სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (დანართი 1.4), მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴⁸ იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴⁹ იქვე, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

- **ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები** - საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს. 2022 წლის პროგრამების ფარგლებში⁵⁰ ხანდაზმულ პირებს შეუძლიათ გარკვეული მომსახურების უფასოდ მიღება (მაგალითად, ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ქალებისთვის, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ქალებისთვის, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ქალებისა და მამაკაცებისთვის, ვაქცინაცია გარკვეულ შემთხვევებში, ტუბერკულოზის მართვა და სხვა).
- **დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა** - ამ ქვეპროგრამის ფარგლებში შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულებისთვის (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) გათვალისწინებულია სმენის აპარატები, ყავარჯნები, ხელჯოხ-ყავარჯნები და გადასაადგილებელი ჩარჩოები.⁵¹
- **ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა** - ამ ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ომის მონაწილე ხანდაზმულებს (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან). ინდივიდუალური სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო კურსის ფარგლებში ქვეპროგრამის ღონისძიებებს საჭიროებისამებრ განეკუთვნება: ა) ექიმ-სპეციალისტ(ებ)თან კონსულტაცია; ბ) ფიზიოთერაპიული და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება; გ) ბალნეოლოგიური პროცედურები; დ) სამკურნალო ფიზკულტურისა და მანუალური თერაპიის პროცედურები.⁵²

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე დამტკიცებულია ცალკეული პროგრამები, რომლებიც ხანდაზმული პირების გაძლიერებას ემსახურება (მაგალითად, ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შინმოვლის პროგრამა).⁵³

⁵⁰ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილება.

⁵¹ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა: დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

⁵² „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა: ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

⁵³ იხ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინმოვლის პროგრამაში პირთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აპრილის №9 დადგენილება.

პროექტის განხორციელების პერიოდში საიას მიერ გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში „ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში საიამ ხანდაზმულ პირებს არაერთი იურიდიული კონსულტაცია გაუწია. ისინი ორგანიზაციას სხვადასხვა საკითხზე მიმართავდნენ. მათი შეკითხვები შეეხებოდა, მათ შორის: სამეზობლო სამართალთან დაკავშირებულ თემებს (სამეზობლო ზემოქმედებათა თემების ვალდებულება, სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა), სახელშეკრულებო დავებს (მოტყუებით ან შეცდომით დაღებული გარიგების ბათილობა, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვნა, სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების დაღება, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები, თავდაბობის ხელშეკრულება), საოჯახო სამართლის საკითხებს (განქორწინებისას მუდღეთა თანასაკუთრების გაყოფის წესი, მუდღეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, არასრულწლოვანი შვილიშვილების მიმართ ჰაპისა და ბებიის უფლებები), მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს (ანდერძის შედგენის პროცედურა, სამკვიდროს განაწილება, სამკვიდროს მიღება), სამოქალაქო საპროცესო სამართალთან დაკავშირებულ თემებს (შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, სარჩელის უზრუნველყოფა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შედეგები), სამშენებლო სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს (მშენებლობის უფლების მოპოვების პროცედურა, მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება, უკანონო მშენებლობის შემთხვევაში შესაძლო რეაგირების გზები), სოციალურ დახმარებას (სოციალური დახმარების დანიშვნის წინაპირობები და პროცედურა, შეზღუდული შესაძლებლობის გამო სოციალური ჰაკეტის დანიშვნის წესი, პენსიის გაცემის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირის შეღავათები, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების დახმარება), მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხებს (მხარდაჭერის დანიშვნის პროცედურა, მხარდაჭერის უფლებამოსილების ფარგლები და ვადა, ასევე, მხარდაჭერის ვადის გაგრძელების თაობაზე შესაბამისი განცხადების შედგენაში დახმარება). საკონსულტაციო თემატიკა ასევე მოიცავდა უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცედურას.

პროექტის განხორციელებისას საიას მიერ იღებული ფინანსური პრობლემები

საიას მიერ ხანდაზმული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის პროცესში, ზოგად სამართლებრივ პრობლემებთან ერთად, გამოიკვეთა ის სპეციფიკური საკითხები, რომლებიც დაბრკოლებას უქმნის ხანდაზმულ პირებს, ხელს უშლის საზოგადოებრივ ინტეგრაციაში და მათ დისკრიმინაციისა თუ სტიგმატიზების მსხვერპლად აქცევს. შემდეგი ქვეთავი სწორედ ამ პრობლემების ანალიზს ეთმობა.

3.1. ხანდაზმულთათვის გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებები

ხანდაზმულთა ნაწილი, რომელიც საიას დახმარებისთვის მიმართავდა, მიუთითებდა სოციალური დაცვის ღონისძიებების არასაკმარისობაზე. ისინი ორგანიზაციას სთხოვდნენ ინფორმაციის მიწოდებას კანონმდებლობით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, სოციალური დახმარების აღდგენას ან მისით სარგებლობის მიზნით სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას. გარდა ამისა, ისინი ყოველ ჯერზე მიუთითებდნენ პრობლემის სიმწვავესა და სოციალური დაცვის ღონისძიებებით სარგებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე.

როგორც წესი, ხანდაზმულობის ასაკის მიღწევისას, უკავშირდება რა ეს შრომის უნარის დაქვეითებას, ადამიანები ვეღარ ახერხებენ სხვა მოქალაქეების თანასწორად ეკონომიკური დოვლათის შექმნას, დამოუკიდებლად შემოსავლების მიღებას და სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ხანდაზმული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა განვითარებად ქვეყნებში. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლებიც ამ ადამიანების წინაშე არსებულ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხებს. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხანდაზმულთა უმეტესობა მოკლებულია დანაზოგს, რომელიც სათანადო ასაკის მიღწევისას მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა. ამის გამო, ისინი ხშირად სხვა პირებსა და სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალურ დახმარებებზე ხდებიან დამოკიდებულნი.

ხანდაზმული პირების ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო პენსიაა. იმავდროულად, პენსია, თავისი არსით, იმ სახის სოციალურ დახმარებას განეკუთვნება, რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, ვინაიდან მისი ოდენობა თითქმის საარსებო მინიმუმის ტოლია.⁵⁴ შესაბამისად, ასაკის ნიშნით დანიშნული პენსიის მიზანი არა ხანდაზმულთა ღირსეული ცხოვრების გარანტირება, არამედ უკიდურესი სიღარიბისგან დაცვაა. პენსიის

⁵⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის ივნისის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 255.3 ლარია, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>, განახლებულია: 04.08.2022.

ოდენობა ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მედიკამენტების შექენასთან, კვებით მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.⁵⁵ ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მიერ შემოღებული ყველა ის სოციალური პროგრამა, რომელიც ხანდაზმული პირების პრობლემების გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხანდაზმული პირები ქვეყანაში არსებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ცალკეული ქვეპროგრამების სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სათემო ორგანიზაციები). თუმცა, ამის მიუხედავად, მომსახურებების მომლოდინეთა რიგების გამო, პროგრამებში ხანდაზმული პირები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ერთვებიან.⁵⁶ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაზარდოს ამ პროგრამების სამიზნე ბენეფიციართა წრე და უზრუნველყოს ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

კიდევ ერთი პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხანდაზმული პირებისთვის შესაბამისი სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობაა. სახალხო დამცველი მუდმივად საუბრობს, რომ მუნიციპალიტეტები საკმარისად არ მუშაობენ თავიანთ ტერიტორიაზე სოციალური მიმართულებით, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული პირების გამოვლენას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემების წარმოჩენას, სათანადო პროგრამების დანერგვას და შემდგომ განხორციელებას. მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების უმრავლესობა ითვალისწინებს მხოლოდ ხანდაზმულთა ერთჯერად დახმარებას და არ განსაზღვრავს გრძელვადიან ღონისძიებებს ხანდაზმულთა წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.⁵⁷

3.2. ხანდაზმულთა უფლებები სპეციალიზებულ დაწესებულებაში

გამოიკვეთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებულ ხანდაზმულთა უფლებების სისტემური დარღვევის შემთხვევები. იქ არსებულ მძიმე პირობებზე საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას.

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 19, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021012113240828575.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

⁵⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2017, 312, ხელმისაწვდომია: shorturl.at/drwZ3, განახლებულია: 04.08.2022.

⁵⁷ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილება.

⁵⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2021, 299, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

2022 წლის 17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ერთ-ერთ სათემო დაწესებულებაში მონიტორინგი ჩაატარა,⁵⁸ რომელმაც აჩვენა, რომ იქ არსებული მდგომარეობა შემამოფოთებელია და ხანდაზმულები ღირსების შემლახველ პირობებში იმყოფებიან. იმავდროულად, ვინაიდან ეს დაწესებულება სათემო ორგანიზაციაა, სახელმწიფო პასუხისმგებელია მის მონიტორინგსა და სერვისის მიმწოდებლის მხრიდან ხანდაზმულთათვის სათანადო პირობების შექმნაზე.

სპეციალიზებულ დაწესებულებებში არასათანადო პირობების არსებობა განაპირობებს ხანდაზმულ პირთა ღირსების შელახვას.⁵⁹ მნიშვნელოვანია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტომ მყისიერი რეაგირება მოახდინონ ზემოხსენებულ დარღვევებზე და დაუყოვნებლივ შეუქმნან დაწესებულებაში მყოფ ხანდაზმულებს ღირსეული პირობები.

3.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში საიას მიმართა არაერთმა პირმა, რომლებსაც სურდათ კონსულტაციის მიღება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე და, აქედან გამომდინარე, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის პროცედურებზე.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებლყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.⁶⁰ 2021 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი 361 ხანდაზმული კაცი და 873 ხანდაზმული ქალი.⁶¹ წლების განმავლობაში უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემები დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალადობის ფაქტის აღქმა, შესაბამისი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული ფსიქოსოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობა. სახალხო დამცველის შეფასებით,

⁵⁸ კახეთში, სიდნაღის რაიონში მდებარე წნორის ხანდაზმულთა სახლის ა(ა)იპ „ხანდაზმულთა სავანე ბეთელი“.

⁵⁹ იხ. სახალხო დამცველის განცხადება „ხანდაზმულთა სავანე ბეთელში“ მცხოვრები ხანდაზმულების ღირსების შემლახავ პირობებში ყოფნასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2022 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: [shorturl.at/FQW49](https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf), განახლებულია: 04.08.2022.

⁶⁰ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

⁶¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2021, 301, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

პრობლემურია მათი ხანგრძლივად დაცვა ძალადობისგან და დახმარების სერვისების ამოქმედება.⁶²

ოჯახში ძალადობის ფაქტების ზრდის ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლა - ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენა და რეაგირება, ასევე მათი დეტალური ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში.⁶³

⁶² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 401, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

⁶³ გაეროს მოსახლეობის ფონდი, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა COVID-19-ის პერიოდში“ კვლევის ანგარიში, 2020, 9, ხელმისაწვდომია: shorturl.at/EHLS8, განახლებულია: 04.08.2022.

საანგარიშო პერიოდში ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით საიას მიერ წარმოებული საქმეები

4.1. სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაში მფლობელის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა

საიას მიმართა ხანდაზმულმა მოქალაქემ სადაზღვევო კომპანიის მხრიდან დისკრიმინაციული სახელშეკრულებო პირობის დადგენასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმის გარემოებების შესაბამისად, პირსა და სადაზღვევო კომპანიას შორის 2021 წლის 3 აგვისტოს გაფორმდა სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების პერიოდი განისაზღვრა 2021 წლის 4 აგვისტოდან 2021 წლის 27 აგვისტომდე. სადაზღვევო ლიმიტი შეადგენდა 50 000 ევროს. დაზღვეული იყო 70 წელს გადაცილებული პირი. იგი მიიჩნევდა, რომ სამოგზაურო დაზღვევა მოიცავდა საზღვარგარეთ ყოფნის ეტაპზე ჯანმრთელობის პრობლემის შექმნის შემთხვევაში მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, რაც, რეალურად, გათვალისწინებული იყო მოცემული პოლისის სტანდარტული პირობებით ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი მხარისთვის.

დაზღვეულმა 2021 წლის 16 აგვისტოს, შვეიცარიაში ყოფნისას, მწვავე ინფექციის ფონზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ქალაქ ჟენევის საუნივერსიტეტო კლინიკას მიმართა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა. მას ჰქონდა მოლოდინი, რომ სადაზღვევო კომპანია დაფარავდა მკურნალობის ხარჯებს. თუმცა, კომპანიამ მკურნალობის ხარჯები არ აანაზღაურა და არგუმენტად მიუთითა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 2.1.2 პუნქტზე. დასახელებული ნორმის თანახმად, იმ პირთათვის, რომელთა ასაკი დაზღვევის პერიოდის დასრულების მომენტში 70 წელი ან მეტია, სამოგზაურო დაზღვევის პირობებით იფარება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელშიც მოიაზრება დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში რეპატრიაციის, მისი ცხედრის ან ფერფლის საქართველოში გადმოსვენების, ასევე ადგილზე დაკრძალვისთვის გაღებული თანხა. შესაბამისად, 70 წლის ან მეტი ასაკის პირებს, სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებით, მკურნალობის ხარჯები არ უნაზღაურდებათ.

საიას შეფასებით, სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტზე სხვა მომხმარებლებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობის ბლანკეტურად დაწესება არის ხანდაზმულ პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. იგი მხედველობაში არ იღებს მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალურ ინფორმაციას და ეფუძნება მხოლოდ განზოგადებულ დასკვნებს და სტერეოტიპებს, რაც ხანდაზმულ პირებს უზღუდავს საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობას. ამ პირთა მიმართ ვარაუდები და დასკვნები ხშირად შეცდომაში შემყვანია და ვერ ასახავს ადამიანების ინდივიდუალურ მრავალფეროვნებას. ამდენად, პირთა კონკრეტული ჯგუფის გამოყოფა და მათთვის სხვებთან შედარებით არახელსაყრელი პირობების დადგენა, რასაც არ აქვს შესაბამისი გამართლება, არის დისკრიმინაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებას, რომელიც აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის კვეთისთვის. ამ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა ან/და განსხვავებული პირობით დადება, შესაძლოა, იყოს დამაბრკოლებელი გარემოება საზღვრის კვეთისას. ამდენად, საფრთხე ექმნება ხანდაზმული პირების კონსტიტუციით განმტკიცებულ გადაადგილების თავისუფლებას.⁶⁴ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოხდეს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების პრევენცია.

ამ საქმეზე მოქალაქემ საქართველოს სახალხო დამცველსაც მიმართა, რომელმაც ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ ზღვრული ასაკის დაწესება, რომლის მიღმა მყოფი პირი ავტომატურად ჩაითვლება განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონედ, გაუმართლებელია. ამ მიდგომით, გამოირიცხება ინდივიდუალურად შეფასების სქემა. შესაბამისად, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სახალხო დამცველმა სადაზღვევო კომპანიას მოუწოდა, გადაეხედა დადებული სამოგზაურო დაზღვევის პირობებისთვის. კერძოდ, ინდივიდუალურად შეეფასებინა იგი და უკვე გაღებული სამედიცინო ხარჯის ანაზღაურების თაობაზე მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სახალხო დამცველი რეკომენდაციაში მიუთითებს, რომ, არსებითია, კომპანიამ მომავალში არ დაუშვას ასაკის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, ასევე დროულად უზრუნველყოს შიდა ორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის თანასწორობის უფლებასთან შესაბამისობა.⁶⁵

მოცემული საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არ არის მზღვეველის მხრიდან 70 წელს მიღწეული პირის დისკრიმინაციის პირველი შემთხვევა. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული დებულება სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას განეკუთვნება. გარდა ამისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, სადაზღვევო კომპანია მოცემულ საქმეზე არ აღიარებს დისკრიმინაციულ მოპყრობას და პირს არ უნაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს. ამ ეტაპზე, საიას დახმარებით, დაზარალებულმა პირმა საჩივრით მიმართა თავად სადაზღვევო კომპანიას, მოსთხოვა მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება და ელოდება მისგან რეაგირებას.

4.2. სოციალური პაკეტის დანიშვნა თავდაცვის ძალების იმ ვეტერანისთვის, რომელიც, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა

საიას წარმოებაში არის საქმე, რომელიც შეეხება თავდაცვის ძალების ვეტერანისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნაზე უარს. ორგანიზაციას მიმართა პირმა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ორმაგი მოქალაქეობა - ის იყო როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და ამ უკანასკნელის მიერ

⁶⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი.

⁶⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 თებერვლის №13-2/2134 რეკომენდაცია.

დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პენსია. იმავდროულად, მოქალაქე ფლობდა ვეტერანის სტატუსს. სწორედ ამ საფუძვლით, 2022 წლის 25 იანვარს მან განცხადებით მიმართა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს და მოითხოვა სოციალური პაკეტის დანიშვნა. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად, თავდაცვის ძალების ვეტერანებს საპენსიო ასაკის მიღწევასა და ენიშნებათ სოციალური პაკეტი 100 ლარის ოდენობით.⁶⁶

თავდაცვის ძალების ვეტერანებისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრმა მოქალაქეს სოციალური პაკეტი არ დაუნიშნა.⁶⁷ ამის შემდგომ, 2022 წლის 24 თებერვალს, მან ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და მოითხოვა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა და მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის (100 ლარის) დანიშვნა. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ მოსარჩელეს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმავე საფუძვლით.⁶⁸

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი, ისევე, როგორც სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, თავდაცვის ძალების ვეტერანისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნაზე უარს ასაბუთებდნენ იმ ნორმაზე დაყრდნობით, რომელიც ადგენდა, რომ სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე განცხადებას უნდა დაერთოს „უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა - ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება“.⁶⁹ ზემოხსენებულ ნორმაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოები მოქალაქეს განუმარტავდნენ, რომ, ვინაიდან იგი იღებდა პენსიას რუსეთის ფედერაციიდან, საქართველოში სოციალური პაკეტი ვერ დაენიშნებოდა.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის, ასევე სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ გადაწყვეტილება სოციალური პაკეტის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ მოქალაქემ საიას დახმარებით სასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ თავდაცვის ძალების ყოფილ ვეტერანს სახელმწიფომ სოციალური პაკეტის დანიშვნაზე უარი უკანონოდ უთხრა. კერძოდ, სარჩელში საია მიუთითებდა №279 დადგენილების იმ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც,

⁶⁶ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.თ“ ქვეპუნქტი.

⁶⁷ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 11 თებერვლის №04-00/2203 გადაწყვეტილება.

⁶⁸ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ 2022 წლის 29 აპრილის №04/4415 გადაწყვეტილება.

⁶⁹ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

გამონაკლისის სახით, თავდაცვის ძალების ვეტერანებისთვის გათვალისწინებული იყო სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება.⁷⁰ ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად, თავდაცვის ძალების ვეტერანები უფლებამოსილნი არიან, სახელმწიფო პენსიასთან ერთად მიიღონ სოციალური პაკეტი.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი დავის დაწყების შემდგომ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და გაუქმდა სწორედ ის ნორმა, რომელზე დაყრდნობითაც ადმინისტრაციული ორგანო მოქალაქეს უარს ეუბნებოდა სოციალური პაკეტის დანიშვნაზე (ცვლილება 2022 წლის 13 მაისიდან ამოქმედდა).⁷¹ ამის შემდეგ ვეტერანმა კვლავ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს. ამჯერად მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 2022 წლის ივლისიდან მას სოციალური პაკეტი დაენიშნა. თუმცა, სასამართლოში დავა კვლავ ინარჩუნებს რელევანტურობას წარსულ პერიოდზე მისაღები თანხის ანაზღაურების ნაწილში.

4.3. ხანდაზმული პირებისთვის სახელმწიფო პენსიის დაკავება

საიას სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა პენსიონერმა, რომელსაც საპენსიო ასაკი 2022 წლის იანვარში შეუსრულდა. მან კუთვნილი პენსიის მიღების მიზნით მიმართა სს „ლიბერთი ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალს. ბანკის წარმომადგენელმა განუმარტა, რომ პენსიას ვერ მიიღებდა, რადგან ბანკის წინაშე ჰქონდა შესასრულებელი წლების წინ აღებული სასესხო ვალდებულება. პენსიონერმა დაწესებულებას წარუდგინა განცხადება და, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, პენსიის გაცემა მოითხოვა. თუმცა, ბანკმა მას სესხის გადასაფარად ახალი სესხის აღება შესთავაზა, რაც პენსიონერის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებდა. ამასთანავე, ბანკმა უარი განაცხადა პენსიონერისთვის ხელშეკრულების ასლების გადაცემაზე.

საკითხის შესწავლის მიზნით, საიამ ბანკს მიმართა საჩივრით (საპრეტენზიო განაცხადით), რომლითაც მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე დაკავებული პენსიის პენსიონერისთვის გადაცემა და წერილობითი განმარტების მიღება თანხის დაკავების საფუძველთან დაკავშირებით. საჩივარში საიამ მიუთითა პენსიის დაკავების მარეგულირებელ შესაბამის ნორმებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ ბანკის ქმედება იყო უკანონო. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად, პენსიის დაკავების საფუძველი შეიძლება იყოს სასამართლოს ან შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილებით, შესაძლებელია პენსიის მაქსიმუმ 50%-ის

⁷⁰ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷¹ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 11 მაისის №237 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ამოღებულ იქნა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

დაკავება.⁷² მოცემულ შემთხვევაში კი ამის საფუძველი იყო ბანკთან დადებული ხელშეკრულება. კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულება შეიცავდა პირობას, რომლის მიხედვითაც, „იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად/შესამცირებლად“. საია მიიჩნევს, რომ ბანკი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, მხედველობაში მიიღოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა პენსიონერმა, მისი საკრედიტო ისტორიის მიუხედავად, სრულად შეძლოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი პენსიით სარგებლობა.

ბანკმა გაითვალისწინა საჩივარში მითითებული სამართლებრივი არგუმენტაცია. შედეგად, პენსიონერმა შეძლო კუთვნილი პენსიის მიღება. ბოლო პერიოდში საიას ამ ტიპის პრობლემასთან დაკავშირებით სხვა მოქალაქეებმაც მომართეს. შესაბამისად, ამ საქმეზე დადგენილი პრაქტიკა, შესაძლოა, სხვა პენსიონერებისთვისაც სასარგებლო იყოს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში შეაფასა საბანკო დაწესებულებების მიერ ხანდაზმულ პირთა თვიური პენსიის 50%-ზე მეტის დაკავების საკითხი. დოკუმენტში მითითებულია, რომ ასაკის ნიშნით დანიშნული პენსიის მიმღებთა დიდი რაოდენობისთვის სახელმწიფო პენსია შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ასეთი ბენეფიციარების უმეტესობა პენსიის გამცემ ბანკში (სს „ლიბერთი ბანკი“) სარგებლობს სესხით. ყოველთვიურად, პენსიიდან დასაკავებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საბანკო დაწესებულებასა და პენსიონერს, როგორც ბანკის კლიენტს, შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. სესხის დასაფარად ჩამოჭრილი თანხა, როგორც წესი, გასაცემი პენსიის 50%-ზე მეტს შეადგენს. დარჩენილი თანხა კი საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია, რაც პენსიონერთა ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, აწარმოოს მოლაპარაკებები სს „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულებაში ბენეფიციართა ინტერესებზე მორგებული ცვლილებების შესატანად.⁷³

⁷² „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

⁷³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2019, 373-374, 376. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>, განახლებულია: 04.08.2022.

საიას მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

საიამ ხანდაზმული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დავა საკონსტიტუციო სასამართლოში წამოიწყო.⁷⁴ სადავო ნორმები ადგენს საპენსიო ასაკს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 65 წელს მიღწეული აკადემიური პერსონალისთვის. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ“.⁷⁵ ამის გარდა, გასაჩივრებულია ასევე ნორმები, რომლებიც სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა⁷⁶ და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში⁷⁷ ადგენს აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

საიას პოზიციით, სადავო ნორმები არის დისკრიმინაციული და, იმავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილებით⁷⁸ დადგენილი სტანდარტების საწინააღმდეგო პრაქტიკა. შესაბამისად, ისინი არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებასთან⁷⁹ მიმართებით.⁸⁰ კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 22 თებერვლის

⁷⁴ იხ. №1691 კონსტიტუციური სარჩელი.

⁷⁵ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷⁷ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №36/2012 დადგენილებით დამტკიცებული (დანართი №1) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესისა და პირობების“ 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁷⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁰ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის შესაბამისად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე

№2/2/863 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ნორმები, რომლებიც ადგენდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, კონკრეტულად, აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის თანამდებობებზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული პირი, რომლის ასაკი 70 წელს აღემატებოდა.⁸¹ სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი თანამდებობისთვის, რომელიც მოითხოვს გონებრივ აქტივობას, ასაკის მატება ინდივიდს არ ართმევს შესაძლებლობას, განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისა თუ ვიცეპრეზიდენტის ფუნქციები და მათი სრულყოფილი შესრულება საჭიროებს ამ თანამდებობაზე ისეთი ადამიანის არჩევას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინსტიტუციური მეხსიერება, ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება. ამგვარ უნარებს არათუ არ აკნინებს ასაკის მატება, არამედ ისეთ სპეციფიკურ და, მეტწილად, მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებულ სფეროში, როგორც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაა, შესაძლოა, განაპირობებდეს კიდევ სწორედ წლების მანძილზე დაგროვებული გამოცდილება“.⁸²

საიას პოზიციით, დასახელებული შემთხვევის მსგავსად, გასაჩივრებული ნორმები 65 წელს მიღწეული პირებისთვის ადგენს დისკრიმინაციულ საპენსიო ასაკს. აკადემიურ თანამდებობაზე საქმიანობა დაკავშირებულია გონებრივ სამუშაოსთან და არ მოითხოვს მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. ამდენად, 65 წელს მიღწეული პირებისთვის აკადემიური თანამდებობის დაკავების აკრძალვის წესი დისკრიმინაციულია და არაკონსტიტუციურად უნდა იყოს ცნობილი.

დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად [...] და, თუ არ არსებობს ამ კანონის 21¹-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

⁸¹ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯავლიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

საიას მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი საჯარო თანამდებობებსა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებაში ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების ეფექტიან იმპლემენტაციას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. ის შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ნებისმიერი შტოსთვის. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.⁸³ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია. მისი გამოქვეყნების მომენტიდან ნორმა ძალას კარგავს და არ საჭიროებს სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, დამატებით, საიმპლემენტაციო ღონისძიებების გატარებას. ამასთანავე, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სავალდებულო იურიდიული ძალა დაკარგოს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილმა კონკრეტულმა ნორმამ, არამედ, ასევე, იდენტიფიცირებული პრობლემა აღმოიფხვრას მთელ სამართლებრივ სისტემაში. ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების სრულყოფილი რეალიზაციისთვის, ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაატარონ გარკვეული ღონისძიებები, განახორციელონ სისტემური და სტრუქტურული ცვლილებები.⁸⁴

საანგარიშო პერიოდში საიამ მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოუწოდა, კონსტიტუციას შეუსაბამოს ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ასაკის ნიშნით თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „ის ფაქტი, რომ, ზოგადად, ასაკის მატების თანმდევი შედეგია ადამიანის ფიზიკური ამტანობის შესუსტება და გარკვეული უნარების დაქვეითება, თავისთავად ვერ გახდება ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ბლანკეტური მუზღუდვის დაწესების თვითკმარი საფუძველი. ამგვარი მიდგომა გაუმართლებლად ფართო სივრცეს დატოვებდა ასაკის ნიშნით ადამიანების დიფერენცირებისთვის, რაც, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში არ იყოს განპირობებული რაციონალური და ობიექტური საჭიროებით და, შედეგად, გამოიწვიოს გარკვეულ ზღვრულ ასაკს მიღწეული ადამიანების თვითმიზნური დისკრიმინაცია. შესაბამისად, კანონმდებელმა ხსენებული ურთიერთობები იმგვარად უნდა დაარეგულიროს, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი ასაკოვან თანამდებობის პირთა

⁸³ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁴ ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, 2019, 89, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/files/4/2019_Report.pdf, განახლებულია: 04.08.2022.

უფლებებსა და კონკრეტული პოზიციის მახასიათებლებით განპირობებულ საჯარო ინტერესებს შორის“.⁸⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებას ან/და საქმიანობაზე ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება რაციონალურად იყოს მიჩნეული, კანონმდებელი ვალდებულია, დაასაბუთოს:

1. კონკრეტული საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, განსაზღვრული ასაკის პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. უნდა დასაბუთდეს, რომ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევა უმრავლეს შემთხვევაში იწვევს იმ უნარების დაქვეითებას, შესუსტებას, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად. იმავდროულად, ხსენებული უნარების შესუსტება, დაქვეითება, უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ საქმიანობის იმ სახესთან მიმართებით, რომლის განხორციელებაც იზღუდება კანონმდებლობით დადგენილი ასაკის მიღწევის შემდგომ.
2. თუ კანონმდებელი დაასაბუთებს, რომ განსაზღვრული ასაკის პირთა დიდი უმრავლესობა საქმიანობას სათანადოდ ვერ განახორციელებს, მან ასევე უნდა დაასაბუთოს, რომ შეუძლებელია ან/და არაგონივრულია პირთა უნარების ინდივიდუალური შეფასება და, ამის საფუძველზე, თანამდებობის დაკავების საკითხის გადაწყვეტა.⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილების მიუხედავად, კანონმდებლობაში კვლავ რჩება ისეთი ნორმები, რომლებიც ბლანკეტურად ადგენს ზღვრულ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგაც პირი ავტომატურად თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. ასეთია, მაგალითად: ა) „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკს განსაზღვრავს (70 წელი); ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამხედრო სამსახურის ზღვრულ ასაკს ადგენს (საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის რიგითების, კაპრალების და სერჟანტების (მიჩმანების) შემადგენლობებისთვის (50 წელი); საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისთვის (45 წელი); კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისთვის (პოლკოვნიკამდე - 50 წელი, ხოლო პოლკოვნიკისთვის - 55 წელი); კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობისთვის (60 წელი); გ) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება, რომელიც ადგენს ზღვრულ ასაკს

⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24, 25.

საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურისთვის (50 წელი); დ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ჩამოთვლის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ზღვრულ ასაკს („სახელმწიფო დაცვის“ უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდებების მქონე პირთათვის - 45 წელი; „სახელმწიფო დაცვის“ უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირისთვის „სახელმწიფო დაცვის“ პოლკოვნიკამდე - 50 წელი; „სახელმწიფო დაცვის“ პოლკოვნიკისთვის - 55 წელი; „სახელმწიფო დაცვის“ უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირისათვის - 60 წელი); ე) „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10³ მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენს დაწესებულების დირექტორის თანამდებობის დაკავების ასაკს (დაწესებულების დირექტორად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დაწესებულების მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება) და ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც შეეხება დაწესებულების ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ასაკს (დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება აირჩეს ან დაინიშნოს პირი, რომლის ასაკი 65 წელს აღემატება).

საია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტმა გადახედოს კანონმდებლობაში არსებულ ნორმებს, რომლებიც ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად ზღვრულ ასაკს აწესებს. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ასაკი საჯარო თანამდებობებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებების შემთხვევებში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია, საქართველოს პარლამენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც დასაბუთდება თითოეული ასაკის უცვლელად დატოვებისა თუ შეცვლის საჭიროება.

დასკვნები/რეკომენდაციები

„ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში საიამ არაერთი პრობლემა გამოავლინა, რომელთა გადაჭრა ხანდაზმულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში მათ ღირსეულ, თანასწორ თანაცხოვრებას. მოცემული დოკუმენტი მიმოიხილავს საანგარიშო პერიოდში (2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე) ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევებს და წარმოდგენილი რეკომენდაციებიც, ძირითადად, სწორედ ამ საკითხებს შეეხება. შესაბამისად, ანგარიშს არ აქვს საყოველთაობის პრეტენზია და არ მოიცავს იმ სამართლებრივი პრობლემების ამომწურავ ანალიზს, რომლებიც შეიძლება ხანდაზმულ პირებს გააჩნდეთ.

გამოკვეთილი პრობლემების/საჭიროებების საფუძველზე, საიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- გადახედოს ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ზღვრულ ასაკს და შეუსაბამოს ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასაკის ნიშნით თანამდებობაზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობას:

- „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაბერების საკითხზე ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიან დაცვაზე.
- გაიზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის იმ ცალკეული ქვეპროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც განკუთვნილია ხანდაზმული პირებისთვის (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სათემო ორგანიზაციები) და უზრუნველყოს მათი დროული ხელმისაწვდომობა ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- შეისწავლოს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმული პირების მდგომარეობა, მოახდინოს დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირება და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მათთვის ღირსეული პირობების შექმნა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშაონ მიზნობრივი პროგრამები და მათ განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გამოყონ შესაბამისი ფინანსები; საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ ბიუჯეტი და მოიძიონ დამატებითი სახსრები.

მზღვეველს ან/და დაზღვევის შუამავლებს:

- გადახედონ სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებებს და უზრუნველყონ იმგვარი საკონტრაქტო პირობების პრევენცია, რომლებიც განაპირობებს ასაკის ნიშნით პირთა დისკრიმინაციას.

პენსიის გაცემაზე პასუხისმგებელ ბანკს:

- სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, პენსიის მიმღებ პირს არ დაუკავოს სახელმწიფო პენსია იმის გამო, რომ მას ბანკის წინაშე აქვს შესასრულებლად სავალდებულო სახელშეკრულებო ვალდებულება.